ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ
საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია

დასკვნა:**დ12.37221471**
თარიღი:**27/05/2022**

# დ ა ს კ ვ ნ ა

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისიამ ,

მიმდინარე წლის 27 მაისს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი 2022 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.

კომისია აღნიშნავს, რომ საბიუჯეტო ცვლილების პროექტის თანახმად ა(ა).ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სუფსიდირება იზრდება 11,6 ათასი ლარით და აღნიშნული სამსახური მიმდინარე წელს დაფინანსდება 185,0 ათასი ლარით;

კულტურის სფეროს დაფინანსება იზრდება 138,0 ათასი ლარით და შეადგენს 2898,0 ათას ლარს. ცვლილებების პროექტში განსაზღვრულია განათლების დაფინანსების ზრდა 1826,0 ათასი ლარით, მათ შორის სკოლამდელი განათლების 523,0 ათასი ლარით(ზოგადი განათლების დაფინანსება იზრდება 1303,0 ათასი ლარით).

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე, მისი განხილვა-დამტკიცების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი